ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N1

ამათ ამაროვი - „კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის სინერგია: ქართული პრაქტიკა“

2026 წლის 30 სექტემბერი, 1800-19:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

ამათ ამაროვი - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. თსუ-ს სამართლის მაგისტრი. აქვს საჯარო სექტორში მუშაობის 14 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, თბილისის იუსტიციის სახლში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. 2022 წლიდან მუშაობს სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში. აქტიურად მონაწილეობს სააგენტოს პრაქტიკის განვითარებაში მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით.

ვებინარის შესახებ

საქართველოში კონკურენციის სამართლისა და მოხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის აღსრულება საერთო ადმინისტრაციულ ჩარჩოში - ერთი აღმასრულებელი ორგანოს მიერ ხდება. სამართლის ხსენებულ ორ დარგს შორის მნიშვნელოვანი კავშირია - თითოეული მათგანი მომხმარებლების ინტერესებს განსხვავებული კუთხით ემსახურება. შესაბამისად, ამ დარგებში აღსრულების სინერგია (ანუ თითოეულ დარგში დაგროვილი აღსრულების გამოცდილების გათვალისწინება მეორე დარგთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის პროცესში) მნიშვნელოვანია როგორც ჯანსაღი კონკურენციის, ისე მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტირებისთვის. როგორ ხორციელდება მსგავსი სინერგია საქართველოში? რა პრაქტიკა გვაქვს მომხმარებელთა უფლებების სამართლის დაცვის მიმართულებით და რა ზეგავლენას ახდენს - ან შეუძლია მოახდინოს - მსგავს პრაქტიკას კონკურენციის სამართლის ეფექტიან აღსრულებაზე? ვებინარი სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობას დაეთმობა.

ვებინარზე დარეგისტრირება შესაძლებელია შემდეგი ლინკის საშუალებით
https://forms.gle/bSD5kkHebvD9djxS6

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/